№2546 2014 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ (ს/კ: 205169066) გათავისუფლდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის 2012 წლის 20 მარტს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.7 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის გამო ამავე ხელშეკრულების 5.2.3 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან იმ პირობით, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ამ განკარგულების გამოცემიდან 20 (ოცი) დღის ვადაში უზრუნველყოფს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან ხელშეკრულების გაფორმებას, რომლის თანახმადაც, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ამ განკარგულების გამოცემიდან 4 (ოთხი) თვის ვადაში, საკუთარი ხარჯით, განახორციელებს ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურში მდებარე 10 კვ ძაბვის ელექტრო

გადამცემი ხაზების „აკვაპარკისა“ და „ანაკლია-კიროვი 2“-ის საკაბელო მონაკვეთის ტერიტორიიდან გადატანას იმავე მიწის ნაკვეთის საზღვართან და პორტალისებური ლითონის ანძის დემონტაჟს, მის მიერ წარდგენილი პროექტის შესაბამისად.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**